



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 6 20 0000896808



25/09/2020

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 272 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 31 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 276 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი), 2020 წლის 10 მარტს შემოვიდა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის N03-2960 (ცენტრში რეგისტრაციის N293292) სააკრედიტაციო განაცხადი "საექონო საქმის" ინგლისურნოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 1 აპრილის №324052 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის № 508286 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 3 ივლისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში და 2020 წლის 17 აგვისტოს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 11 სექტემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები, კერძოდ, მეორე სტანდარტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისობისა, განისაზღვრა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან. საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მაძიებელს უნდა მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

### 3. სარეზოლუციო ნაწილი

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "საექთნო საქმის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 სექტემბრის სხდომის №896768 ოქმის №01 ნაწილი, შპს საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები:

ა) საქართველოს მოქალაქისთვის ქართული ენის სავალდებულო საგნების ნუსხიდან ამოღება;  
ბ) ლექციების მიმდინარეობისას, ხარისხის დადგენის მიზნით, მეტი ყურადღება დაეთმოს საექთნო პროცესზე დაკვირვებას;

გ) მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იზრუნოს თარჯიმნის ან კლინიკურ ბაზაზე შესაბამისი კადრის მომზადების საკითხზე (ენის კომპეტენცია) სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ექთნის (ინსტრუქტორის) ჩართულობაზე. კლინიკურ ინსტრუქტორებს (ექთანი) მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ მომავალი ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული საექთნო პრაქტიკებში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში, რაშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი.

შემდეგი 3 რეკომენდაცია კი გადაიტანა რჩევების ნაწილში:

ა) სტომატოლოგიის და საექთნო საქმის სტუდენტები ინდივიდუალურად, თავისი მოქმედების არეალის შესაბამისად უნდა გადიოდნენ მიკრობიოლოგიას;


ბ) რეალური დამსაქმებლის ბაზრის კვლევა;

გ) პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია, გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას;


5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 11 სექტემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
თიკანაშვილი ნიკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N60, 6.04.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისთვის
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	საექთნო და სამედიცინო საქმე, 0913
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, I კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 11 სექტემბერი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 11 სექტემბერი